„პამირი“ (დუშანბე) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

დუშანბე. ფრუნზეს სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 9 ივნისი.

„პამირი“: მანანიკოვი, ფუზაილოვი, სარტაკოვი, სისენკო, რახიმოვი, ერმოლაევი, რაფიკოვი, ზაზდრავნიხი, ბატურენკო, მანასიანი, მუხამადიევი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ა. პოპოვი (კიევი).

გააფრთხილეს რაფიკოვი.

ოდესაში ჩატარებული ძნელი მატჩის შემდეგ თბილისის „დინამოს“ არანაკლებ რთული მატჩი ელოდა დუშანბეში. „პამირი“ წლევანდელი საკავშირო გათამაშების დებიუტანტია, ამიტომაც ყველა შეხვედრაში ძალების უკიდურესი დაძაბვით იბრძვის ქულების მარაგის შესავსებად. თბილისელები ამ მატჩში ორმაგი პრობლემის წინაშე იდგნენ. ერთი რომ, მათ დრო არ ეყოთ, რათა აღედგინათ ის დახარჯული ენერგია, რომელიც „ჩერნომორეცთან“ მატჩს შეალიეს, და მეორე - ჩვენი გუნდის რიგებს ტრავმის გამო გამოაკლდა კიდევ ერთი ძირითადი მოთამაშე გ. ცაავა, რაც ისედაც შესუსტებული გუნდისთვის დიდი დანაკლისია.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მოთამაშეები ამ მატჩში ენერგიულად იბრძოდნენ. მეტიც _ თამაში, შეიძლება ითქვას, მათი კარნახითაც მიმდინარეობდა. მე-40 წუთზე კაჭარავამ კარგად აირჩია ადგილი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და გახსნა ანგარიში. გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა, რასაც წამსვე დაეთანხმა კიეველი არბიტრი ა. პოპოვი. არავითარი თამაშგარე მდგომარეობა ამ შემთხვევაში არ ყოფილა. მატჩის კომისარმა პ. კაზაკოვმა (მოსკოვი) თამაშის შემდეგ ვიდეოფირის არაერთხელ ხილვისას განაცხადა, რომ გოლი სწორედ იყო გატანილი და უნდა ჩათვლილიყო, ამიტომაც გვერდით მსაჯსაც და მატჩის არბიტრსაც ოქმში შეფასება ორიანები დაუწერა (ეს ვიდეოფირი გუშინ „ლელოს“ წარმომადგენლებმაც ნახეს „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე).

მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ძალისმიერ თამაშში მეტოქეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს და მაშინ , როცა შეხვედრის დამთავრებას ბევრი აღარ აკლდა, 81-ე წუთზე „პამირის“ ფეხბურთელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს; მარჯვნიდან ჩამოწოდებულ ბურთს შესწვდა მუხამადიევი და თავური დარტყმით აიღო თბილისელთა კარი.

საინტერესოა ერთი ამბავიც: წელს ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა დინამოელთა შეხვედრებში მსაჯები „იჭრებიან“.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა ფრედ - 2:2 დამთავრდა. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ნეფარიძემ და არველაძემ.

ჩემპიონატის მორიგ შეხვედრას დინამოელები საკუთარ მოედანზე 15 ივნისს, მოსკოველ თანაკლუბელებთან გამართავენ.

“ლელო” 11.06.1989